დასახელებას „მაწონი“, შეიძლება დაემატოს საწყისი რძის მინიშნება (ძროხის, თხის, კამეჩის და/ან ცხვრის), თუ გამოყენებული რძის წილი ნარევეში 85%-ს აღემატება.

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1573/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: ტენილი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყველი

განმცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

ტენილი მზადდება ცხვრისა და ძროხის მალალციხიმიანი რძისაგან.

ფორმა: დაწნული წვრილი ძაფების სახით. მასა 100-150 გ.

ორგანოლეპტიკა:

კონსისტენცია - ნაზი, ელასტიკური.

სუნი - სასიამოვნო, სპეციფიკური.

გემო - სუფთა, მოცხარო, ოდნავ მომჟავო.

შეღებნილობა :

რძე, რომლითაც ამზადებენ ყველს „ტენილი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,027	8,1	4	18
ცხვრის	1,031	11,5	7	26

ყველი „ტენილი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 60%

ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%

მარილის შემცველობა – 2-4%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„ტენილის“ დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორცი-ელდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

ახალმოწველილი რძე იკვეთება 30-40 წუთის განმავლობაში. შემდეგ დელამოს ხელით აქუცმაცებენ, აყენებენ მარცვალს და მეორედ აცხელებენ 37° C ტემპერატურამდე. აგროვებენ მარცვალს, ყველის მასას ამოიღებენ ყალიბებში, დააყოვნებენ და აჩერებენ მოსამწიფებლად. საყველე მასას ერთად არ ხარშავენ. ამოიღებენ ამ გამდნარი მასიდან დაახლოებით 200 გრამ ყველს, მოჭრიან და გაწელავენ მთლიანად. შუა ადგილს თითებით ჩაჭყლუტენ და მერე გაწელვით მიიღებენ რგოლის ფორმის მასას. მერე ისევ მოკეცავენ, შემდეგ ისევ გაწელავენ, ამას იმეორებენ წვრილი კანაფის სისქის მასის მიღებამდე. შემდეგ ამ გაწეილ მასას შეკრავენ, შეახვევენ და დადებენ. ასევე აკეთებენ მეორეს, მესამეს და ა.შ ნაჭრებს. ყველს ამარილებენ წათხში 2-3 საათის განმავლობაში. შემდეგ წათხიდან ყველს ამოიღებენ და აწყობენ თაროზე, რათა ზედმეტი ტენი გაუვიდეს. ნაჭრებს ამოავლებენ ყველის ნახარშ ცხიმში (ნახარშში ცხიმის შემცველობა 13-დან 26%-მდეა) და ჩააწყობენ თიხის ქოთანში. როდესაც ქოთანს ყველით გაივსება, ხელით დატკეპნიან, (აქედან წარმოიშვა ტერმინი „ტენილი“). თიხის ქოთანს ზემოდან აფარებენ სუფთა ტილოს, ორი დღე-ღამე ცივად ინახება, შემდეგ ქოთანს გადმოაბრუნებენ, ზედმეტი სითხეს აცილებენ, 1-3 დღის შემდეგ კარგად დატკეპნიან. ხის ნაცარს დაბლა ყრიან და ზედ აწყობენ გადმოაბრუნებულ ქილეს. ტემპერატურა სათავსოში უნდა იყოს 10-11° C.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „ტენილი“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად :

ლათინური შრიფტით: TENILI
რუსული შრიფტით: ТЕНИЛИ

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1574/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: ქართული ყველი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყველი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დასახელება:

„ქართული ყველი“ მზადდება ძროხის, ცხვრის, თხისა ან კამეჩის რძისაგან და/ან მათი ნარევისაგან. ნარევი რძის შემთხვევაში ძროხის რძის შემცველობა არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები.

შორება: ცილინდრის ფორმის ყველი, ოდნავ გამობერილი გვერდებით. მომრგვალებული კუთხეებით, გარეთა ფენა გამაგრებულია, ზედაპირი თანაბარია, ყალიბის ან ტომსიკის ნაჭდევის

კვალით. დასაშვებია უმნიშვნელო ნაშალები და მცირე დეფორმაცია. სიმაღლე – 10-14 სმ; დიამეტრი – 24-28სმ; მასა – 4-6 კგ. ქერქის გარეშე.

ორბანოლეპტიკა: კონსისტენცია ერთგვაროვანია, მყარი, ოდნავ მტვრევადი. ჭრილზე ყველს აღენიშნება მრგვალი, ოვალური და კუთხოვანი ფორმის თვლების ნახატი. ფერი - თეთრი, ოდნავ მოყვითალო.

სუნი – სპეციფიკური, სუფთა, სასიამოვნო, უცხო სუნის გარეშე.

ზომიერად მარილიანი, სუსტი მომჟავო, ოდნავ ცხარე, სასიამოვნო რემეჟავა გემოთი.

შეფხვნილობა:

რძე, რომლითაც მზადდება „ქართული ყველი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,027	8,1	3,6	20
ცხვრის	1,034	11,5	6,2	26
თხის	1,030	8,3	3,6	20
კამეჩის	1,034	10,5	6,5	25
ნარევი	1,030	9,3	4,2	23

ყველი „ქართული“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 49%

ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%

მარილის შემცველობა – 4-8%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„ქართული ყველის“ დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება ადმოსავლეთ საქართველოში სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა მთიანეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების ტერიტორიაზე.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

რძე ჩაიკვეთება 32-35° ტემპერატურაზე. წარმოქმნილ დელამოს ჭრიან, დააყენებენ მარცვალს და ხელმეორედ გააცხელებენ 35-38° ტემპერატურაზე. ამის შემდგომ აცილებენ შრატის 70%-ს. ყველი ფორმირდება. თვითდაწნეხა მიმდინარეობს 6-8 საათის განმავლობაში. თვითდაწნეხის შემდეგ ყველს წონიან და გადააქვთ დასამარილებლად 18-20% კონცენტრაციის წათხში ან 16-18% კონცენტრაციის შრატში მჟავიანობით არაუმეტეს 60°T, არანაკლებ 60 დღის მანძილზე 8-12° ტემპერატურაზე.

მათა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „ქართული ყველის“ შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: KARTULI KVELI
რუსული შრიფტით: КАРТУЛИ КВЕЛИ

წარმოების მაკონტროლებელი ორბანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1575/07

ბანაცხადის შმტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: ჭაჭა

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 33 – ყურძნის ჭაჭისაგან დამზადებული არაყი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

1. „ჭაჭა“ არის ქართული ტრადიციული სპირტიანი სასმელი - ჭაჭის არაყი.
2. ორგანოლეპტიკურად „ჭაჭა“ არის გამჭვივრვალე, უფერო სითხე, რომელსაც კარგად აქვს გამოხატული დამახასიათებელი არომატი და გემო. დავარგებულ „ჭაჭას“ შესაძლოა ჰქონდეს შეფერილობა უფერულიდან მუქ ჩალისფრამდე.
3. აქროლადი ნივთიერებების შემცველობა „ჭაჭაში“ არ უნდა იყოს 1,4 გრამზე ნაკლები 1 ლიტრ აბსოლუტურ ალკოჰოლში.
4. სარეალიზაციოდ გამზადებული „ჭაჭის“ მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 40 %-ზე ნაკლები.

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

1. „ჭაჭის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს საქართველოს მევენახეობის შემდეგ ზონებსა და ქვეზონებში გაშენებული ვენახებიდან:

- | | |
|-----------|-------------|
| ▪ კახეთი | ▪ ლეჩხუმი |
| ▪ ქართლი | ▪ გურია |
| ▪ მესხეთი | ▪ სამეგრელო |
| ▪ იმერეთი | ▪ აფხაზეთი |
| ▪ რაჭა | ▪ აჭარა |

2. „ჭაჭის“ გამოხდა, დავარგება და ჩამოსხმა დასაშვებია მევენახეობის წარმოშობის ზონის გარეთ, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

1. ყურძნის ჯიშები და ხარისხი

„ჭაჭის“ დასამზადებლად დასაშვებია მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ მევენახეობის ზონებსა და ქვეზონებში ღვინის დასამზადებლად დაშვებული ყურძნის ჯიშების გამოყენება.

გამოყენებული ყურძენი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც დადგენილია ღვინის დასამზადებლად განკუთვნილი ყურძნისათვის.

2. გამოხდის პროცესი და დავარგება

ქართული ჭაჭის არაყი – „ჭაჭა“ მიიღება დადუღებული, გამოწნეხილი ან გამოუწნეხავი ყურძნის ჭაჭის გამოხდით პირდაპირ წყლის ორთქლით ან წყლის დამატების შემდეგ. დასაშვებია ყურძნის ჭაჭაზე ღვინის ლექის დამატება. ასევე დასაშვებია ჭაჭის ექსტრაგირებით მიღებული სპირტ-წყალხსნარის გამოხდა და/ან ზემოაღწერილი წესებით მიღებული სპირტების ხელმეორე გამოხდა. მიღებულ ნახადში სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 75 მოცულობით პროცენტს.

3. გემოვნური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, დასაშვებია „ჭაჭის“ არომატიზირება ბუნებრივი არომატიზატორების გამოყენებით. არომატიზირება აუცილებლად უნდა ჩანდეს პროდუქტის დასახელებაში ან აღნიშნულ იქნეს „ჭაჭის“ ეტიკეტზე.

4. დასაშვებია „ჭაჭის“ დავარგება სხვადასხვა ზომის მუხის ან სხვა ხის ჭურჭელში, ან ხის მერქანზე დაყოვნებით.

5. აკრძალული ოპერაციები და ნივთიერებები - დაუშვებელია „ჭაჭაზე“ სხვა, ნებისმიერი წარმოშობის სპირტის დამატება გარდა „ჭაჭის“ სპირტისა. ასევე დაუშვებელია „ჭაჭის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძნის ჭაჭის შაქრიანობის და/ან სპირტიანობის ხელოვნური გაზრდა ნებისმიერი საშუალებით.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

1. დასახელება „ჭაჭა“ ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: CHACHA
რუსული შრიფტით: ЧАЧА

2. დასახელება „ჭაჭას“ შეიძლება დაემატოს ვაზის ჯიშის აღნიშვნა, თუ არცის წარმოებისას აღნიშნული ჯიშის ყურძენი მინიმუმ 85 %-ის ოდენობით არის გამოყენებული.

3. დასახელება „ჭაჭას“ შეიძლება დაემატოს იმ მევენახეობის ზონის, მხარის, მაკრო ან მიკრო-რაიონის დასახელება, სადაც მოწეულ იქნა შესაბამისი ჭაჭის არცის დასამზადებლად გამოყენებული ყურძნის მინიმუმ 80%.

4. ქართული ჭაჭის არცის – “ჭაჭის” ექსპორტი დასაშვებია მხოლოდ სარეალიზაციო ჭურჭელში ჩამოსხმული სახით.

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1576/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: აჭარული ჩლეჩილი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 - ძროხის ყველი

ბანაცხადის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

ყველი „აჭარული ჩლეჩილი“ მზადდება ძროხის მოხდელი რძისაგან, ზაფხულის პერიოდში.

ფორმა: ყველის მასა არის ძაფოვანი, შეკრული ან დაწნული, ლავაშის ფორმის. ძაფები მკვრივია, გაწელებისას საკმაოდ მყარი. ფერად თეთრია. მასა - 0,8-1,5 კგ. ნაწნავის დიამეტრი - 2-3,5 სმ, სიგრძე - 30 სმ, სიგანე - 15 სმ.

ორგანოლექტიკა: კონსისტენცია მკვრივი ძაფისებრი, დაჩლეჩილი.

სუნი - მსუბუქი რძემჟავური, სასიამოვნო.

გემო - სასიამოვნო, სპეციფიკური, ოდნავ მომჟავო-მოცხარო, საკმაოდ მარილიანი.

მზადდება აგრეთვე „აჭარული ჩლეჩილის“ შებოლილი ნაირსახეობა.

შედეგები:

რძე, რომლითაც მზადდება „აჭარული ჩლეჩილი“ ყველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,032	8,1	0,05	21

ყველი „აჭარული ჩლეჩილი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 60%

ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 4-5%

მარილის შემცველობა – 4-6%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

ყველის „აჭარული ჩლეჩილი“ დასამზადებლად საჭირო რძეს მიიღებენ, გადაამუშავენ და ყველი ამოჰყავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

რძეს ვაყოვნებთ თვითშედეგებამდე. შედეგების შემდეგ ვამატებთ იმავე რაოდენობის ახლად მოხდილ რძეს. მჟავიანობა ნარევე რძეში არ უნდა აღემატებოდეს 40-45°T. ამის შემდეგ რძეს ვათბობთ 38-40° ტემპერატურამდე. ემატება მცირე რაოდენობით კვეთი და ინტენსიურად ერევა. რძის შეთბობა გრძელდება 65-70° ტემპერატურამდე. როდესაც დელამო მთლიან გადაზელილ მასად იქცევა, იგი ხელით ინტენსიურად უნდა დაიზილოს და დაიწუროს შრატისაგან. საყველე მასა შუა ნაწილში ხელით ჩაიჭყლიტება და განიერდება, რათა მიიღოს მრგვალი ფორმა. შემდეგ იკვცება და იგივე პროცესი 2-3-ჯერ მეორდება. მიღებული წრიული ფორმა თავსა და ბოლოში იწელება და იგრძობა თოკის მსგავსად. თავი და ბოლო კვლავ ერთად მოექცევა და გადაიკვცება შუაზე, მიიღება 4 თოკისებრი ნაწნავი. ეწყობა სპეციალურ ყუთებში (კაბიწში) ერთ ფენად, იტკეპნება, რათა არ დარჩეს ცარიელი ადგილი. მასის შეფერილების შემდეგ დაამარილებენ და უმატებენ სხვა ფენებს. ინახება გრილ ადგილას. 1-2 თვის შემდეგ მზად არის სარეალიზაციოდ.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

„აჭარული ჩლეჩილი“ ყველის დასახელება შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე შემდეგნაირად დაიტანება:

ლათინური შრიფტით: ACHARULI CHLECHILI

რუსული შრიფტით: АЧАРУЛИ ЧЛЕЧИЛИ

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1577/07

ბანაცხადის შმტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: მესხური ჩეჩილი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ძროხის ყველი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

ყველი „მესხური ჩეჩილი“ მზადდება ძროხის მოხდილი რძისაგან.

ორბანოლეპტიკა: ყველის მასა არის ძაფოვანი, შეკრული ან დაწნული ფორმის. ძაფები მკვრივია, საკმაოდ მყარი გაწელვისას. ფერად თეთრია. მასა – 0,5-3 კგ დაწნული თოკების სახით.

აქვს მსუბუქი რძემჟავური, სასიამოვნო სუნი. გემო - გამოკვეთილი ცილოვანი, საკმაოდ მარილიანი.

მზადდება აგრეთვე „მესხური ჩეჩილის“ შებოლილი ნაირსახეობა.

შეღბენილობა:

რძე, რომლითაც ამზადებენ ყველს „მესხური ჩეჩილი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,032	8,1	0,1-0,05	50

ყველი „მესხური ჩეჩილი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 60%

ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 20%

მარილის შემცველობა – 4-8%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„მესხური ჩეჩილის“ დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორიაზე.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

რძეს ამწიფებენ 45-50°T-მდე. ჩაკვეთა მიმდინარეობს 5-10 წუთი 38-40° ტემპერატურაზე. ჩანაკვეთს შედეგების დაწყებისთანავე აცხელებენ, თან ურევენ 48-54° ტემპერატურამდე, რის შედეგადაც წარმოიქმნება დიდი ფიფქები, რომლებიც ადვილად ეწებება ერთმანეთს და ხელის მანიპულირებით წარმოქმნიან გრძელ 6-8 სმ დიამეტრის თასმას. თასმას ნელ-ნელა იღებენ და აწყობენ მაგიდაზე წრიულად. გაცივებულ მასას შეკრავენ კონებად.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „მესხური ჩეჩილი“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: MESKHURI CHECHILI

რუსული შრიფტით: МЕСХУРИ ЧЕЧИЛИ

წარმოების მაკონტროლებელი ორბანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1578/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: მეგრული სულგუნი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 - ყველი

ბანაცხადის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

მეგრული სულგუნი მზადდება ძროხის, კამეჩის, თხის რძისაგან ან მათი ნარევისაგან.

ფორმა: დაბალი ცილინდრის ფორმის ყველი, ქერქის გარეშე. დიამეტრი – 15-20 სმ;

სიმაღლე – 2,5-3,5 სმ; მასა – 0,5-1,5 კგ. გამონაკლისის სახით დასაშვებია პარამეტრებიდან გადახრა.

ორგანოლეპტიკა: სუნი – სასიამოვნო, დამახასიათებელი ამ ტიპის ყველისათვის.

სუფთა, რძემყავური დამახასიათებელი გემო, ზომიერად მარილიანი. მკვრივი, ელასტიკური, ფენოვანი. მთელ მასაში თანაბარი ფერი თეთრიდან მოყვითალომდე. უნასვრეტებოდ, დასაშვებია სიცარიელე ფენებს შორის.

შეოლილი მებრუნე სულგუნი

ფორმა: იგივე

ორგანოლეპტიკა: ზომიერად მარილიანი, შეოლილი პროდუქტის დამახასიათებელი არომატიკა და სურნელით. ყველის კონსისტენცია მაგარი, არა ფხვნადი, რამდენადმე ელასტიკური. ცომი მოყვითალო შეფერილობის, ქერქი ოქროსფერ-მოყავისფრო.

დასაშვებია ნახვრეტი ყველის ცენტრში.

შეღბენილობა :

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,027	8,1	3,6	23
კამეჩის	1,034	10,5	6,5	25
თხის	1,030	8,3	3,6	23
ნარევი	1,030	9,3	4,2	24

ყველი „მებრუნე სულგუნი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 50%

ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%

მარილის შემცველობა – 1-5%

ყველი „შეოლილი მებრუნე სულგუნი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 40%

ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 52%

მარილის შემცველობა – 3-5%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„მეგრული სულგუნის“ დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება სამეგრელოს რეგიონში, მარტვილის, სენაკის, აბაშის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

რძე ჩაიკვეთება 30-35⁰ ტემპერატურაზე. წარმოქმნილ დელამოს ჭრიან, მეორედ აცხელებენ 34-37⁰ ტემპერატურაზე. აცილებენ შრატის 70-80%-ს, ყველის მარცვლებს ფრთხილად აერთგვაროვნებენ და ტოვებენ მოსამწიფებლად 140-150⁰T-მდე ჩედერიზაციისთვის.

მომწიფებულ ყველს ჭრიან თხელ ფენებად ათავსებენ 75-80⁰ ტემპერატურამდე გაცხელებულ წყალში. ურევენ, სანამ არ მიიღებენ ერთგვაროვან წელვად ცომისებრ მასას, ამოაქვთ სითხიდან. მასას ჭრიან საჭირო ზომებად, საგულდაგულოდ აგუნდავებენ საჭირო ფორმის მისაღებად, ათავსებენ ყალიბებში, აგრილებენ და დაყალიბებულ სულგუნს აწყობენ მარილწყალში, რომლის კონცენტრაციაა 17-18%, ტემპერატურა - 8-12⁰C, 24 საათის შემდეგ დასაშვებია ყველის რეალიზაცია.

მზა „მეგრული სულგუნი“ შეიძლება შეიბოლოს საბოლოავ კამერებში. ამ შემთხვევაში მივიღებთ „შებოლილ მეგრულ სულგუნს“.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „მეგრული სულგუნი“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით:	MEGRULI SULGUNI
რუსული შრიფტით:	МЕГРУЛИ СУЛГУНИ

დასახელებას შესაბამის შემთხვევებში შეიძლება დაემატოს ტერმინი „შებოლილი“, („копченый“, რუს., „smoked“, ინგლ.) თუ ის აკმაყოფილებს წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნებს.

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1579/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: სულგუნი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყველი

განმცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნიმუშის დახასიათება:

“სულგუნი“ მზადდება ძროხის, კამეჩის, თხის რძისაგან ან მათი ნარევისაგან.

ფორმა: დაბალი ცილინდრის ფორმის ყველი, ქერქის გარეშე. დიამეტრი – 15-20 სმ;

სიმაღლე – 2,5-3,5 სმ; მასა – 0,5-1,5 კგ. გამოწვლისის სახით დასაშვებია პარამეტრებიდან გადახრა.

ორბანოლევატიკა:

სუნი – სასიამოვნო, დამახასიათებელი ამ ტიპის ყველისათვის.
გემო – სუფთა, დამახასიათებელი რძემჟავური, ზომიერად მარილიანი. ცომი მკვრივი, ელასტიკური, ფენოვანი. მთელი მასა თანაბარი ფერისაა – თეთრიდან მოყვითალომდე. ნასვრეტების გარეშე, დასაშვებია სიცარიელე ფენებს შორის.

„შაბოლილი სულგუნი“

ფორმა: იგივე

ორბანოლევატიკა: ზომიერად მარილიანი, შებოლილი პროდუქტის დამახასიათებელი არომატიკა და სურნელით. ყველის კონსისტენცია მაგარია, არაფხვნადი, რამდენადმე ელასტიკური. ცომი მოყვითალო შეფერილობის, ქერქი ოქროსფერ-მოყავისფრო. დასაშვებია ნახვრეტი ყველის ცენტრში.

შეღებნილობა:

რძე, რომლითაც მზადდება ყველი „სულგუნი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,027	8,1	3,6	23
კამეჩის	1,034	10,5	6,5	25
თხის	1,030	8,3	3,6	23
ნარევი	1,030	9,3	4,2	24

ყველი „სულგუნი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 50%
ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%
მარილის შემცველობა – 1-5%

ყველი „შაბოლილი სულგუნი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 40%
ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 52%
მარილის შემცველობა – 3-5%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

სულგუნის დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

რძე ჩაიკვეთება 30-35° ტემპერატურაზე. წარმოქმნილ დელამოს ჭრიან, მეორედ აცხელებენ 34-37° ტემპერატურაზე. აცილებენ შრატის 70-80%-ს, ყველის მარცვლებს ფრთხილად აერთგვაროვნებენ და ტოვებენ მოსაწიფებლად 140-150°T-მდე ჩედერიზაციისთვის. მომწიფებულ ყველს ჭრიან თხელ ფენებად, ათავსებენ 75-80° ტემპერატურამდე გაცხელებულ წყალში. ურევენ, სანამ არ მიიღებენ ერთგვაროვან წელვად ცომისებრ მასას, ამოაქვთ სითხიდან. მასას ჭრიან საჭირო ზომებად, საგულდაგულოდ აგუნდავებენ საჭირო ფორმის მისაღებად, ათავსებენ ყალიბებში, აგრძელებენ და დაყალიბებულ სულგუნს აწყობენ მარილწყალში, რომლის კონცენტრაციაა 17-18%, ტემპერატურა – 8-12°C. 24 საათის შემდეგ დასაშვებია ყველის რეალიზაცია.

მზა სულგუნი შეიძლება შეიბოლოს საბოლავ კამერებში. ამ შემთხვევაში ვიღებთ „შებოლილ სულგუნს“.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „სულგუნი“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: SULGUNI
რუსული შრიფტით: СУЛГУНИ

დასახელებას შესაბამის შემთხვევებში შეიძლება დაემატოს ტერმინი „შებოლილი“, („копчённый“ - რუს., „smoked“ - ინგლ.) თუ ის აკმაყოფილებს წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნებს.

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1580/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: სვანური სულგუნი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყველი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

სვანური სულგუნი მზადდება ძროხის და/ან თხის რძისაგან ან მათი ნარევისაგან.

ფორმა: უფორმო კვრეული. მასა 2-6 კილოგრამი.

ორგანოლეპტიკა: ახალ სვანურ სულგუნს ახასიათებს რძემჟავური გემო, დავარგებულს - მომლაშო სპეციფიკური, რომელიც ახასიათებს ყველის მასის დამუშავებისას მდნარ ყველს. ცომი მკვრივია, ელასტიკური, ფენოვანი. ფერი თანაბარი თეთრიდან მოყვითალომდე. ნასვრეტების გარეშე დასაშვებია სიცარიელე ფენებს შორის. გამოირჩევა ალპური ზონისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო არომატით. დასაშვებია ზედაპირზე თხელი ფენის მცირე აქერცვლა.

შეპოვებული სვანური სულგუნი

ფორმა: იგივე

ორგანოლეპტიკა: ზომიერად მარილიანი, შებოლილი პროდუქტის დამახასიათებელი არომატი და სურნელით. ყველის კონსისტენცია – მაგარი, არაფხვნადი, რამდენადმე ელასტიკური. ცომი მოყვითალო შეფერილობის, ქერქი ოქროსფერ-მოყავისფრო.

შედეგები:

რძე, რომლითაც ამზადებენ „სვანურ სულგუნს“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,027	8,1	3,6	23
თხის	1,030	8,3	3,6	23
ნარევი	1,030	9,3	4,2	24

ყველი „სვანური სულგუნი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 50%
ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%
მარილის შემცველობა – 1-5%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

სვანური სულგუნის დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება სვანეთის რეგიონში მდებარე ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში, სადაც ნოციერი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარია.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

რძე ჩაიკვეთება 30-35° ტემპერატურაზე. წარმოქმნილ დელამოს ჭრიან, მეორედ აცხელებენ 34-37° ტემპერატურაზე. აცილებენ შრატის 70-80%-ს, ყველის მარცვლებს ფრთხილად აერთვაროვნებენ და ტოვებენ მოსამწიფებლად 140-150°T-მდე ჩედერიზაციისთვის. მომწიფებულ ყველს ჭრიან თხელ ფენებად ათავსებენ 75-80° ტემპერატურამდე გაცხელებულ წყალში. ურევენ, სანამ არ მიიღებენ ერთგვაროვან წელვად ცომისებრ მასას, ამოაქვთ სითხიდან. მასას ჭრიან საჭირო ზომებად, საგულდაგულოდ აგუნდავებენ საჭირო ფორმის მისაღებად, ათავსებენ ყალიბებში, აგრილებენ და დაყალიბებულ სულგუნ სვანურს აწყობენ მარილწყალში, რომლის კონცენტრაციაა 17-18%, ტემპერატურა - 8-12°C, 24 საათის შემდეგ დასაშვებია ყველის რეალიზაცია. მზა „სულგუნი სვანური“ შეიძლება შეიბოლოს სპეციალურ კამერებში. ამ შემთხვევაში მივიღებთ „შებოლილ სვანურ სულგუნს“.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „სულგუნი სვანური“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: SULGUNI SVANURI
რუსული შრიფტით: СУЛГУНИ СВАНУРИ

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1581/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: კობი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყველი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

ორბანოლეპტიკა: დაბალი ცილინდრის ფორმის ყველი, ოდნავ გაწეული გვერდებით. ჰორიზონტალური ზედაპირი დამრგვალებული, ქერქის გარეშე. სიმაღლე – 10-14 სმ; დიამეტრი – 24-28 სმ; მასა – 4,5-8 კგ. კონსისტენცია - ერთგვაროვანი, ელასტიკური, საშუალოდ მარილიანი.

შეღებნილობა:

რძე, რომლითაც ამზადებენ „კობის ყველს“, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,030	8,1	1,0	20
ცხვრის	1,034	11,5	6,2	26
ნარევი	1,032	9,8	3,1	23

ყველი „კობი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არა უმეტეს 50%

ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 46-48%

მარილის შემცველობა – 4-7%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

ყველის „კობი“ დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

ჩაკვეთის ტემპერატურაა 32-34°C, ხანგრძლივობა – 30-40 წუთი. შემდეგ ხდება დელამოს დაჭრა-დაქუცმაცება, მარცვლის დაყენება და მეორედ გაცხელება 35-37°C-მდე. მარცვლის გაშრობის შემდეგ ყველი ამოაქვთ პარკებში, აჩერებენ 3-5 წუთს შრატის მოცილებამდე, შემდეგ პარკებს აწყობენ ყალიბებში. ყველის დაყალიბება გრძელდება 6-8 საათს, ამ პერიოდში ხდება ყველის რამდენჯერმე გადაბრუნება. ყველს მშრალად ამარილებენ 15-20 დღე ლორწოს გაჩენამდე. წარმოქმნილ ლორწოს გარეცხვით აცილებენ და ყველს დებენ მარილწყალში, რომლის კონცენტრაცია 16-18%-ია და ინახავენ არანაკლებ 2 თვის განმავლობაში.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „კობი“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: KOBİ

რუსული შრიფტით: КОБИ

წარმოების მაკონტროლებელი ორბანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1582/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: გუდა

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყველი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

გუდა მზადდება ძროხისა და ცხვრის რძისაგან ან მათი ნარევისაგან. ნარევის შეიძლება დამატოს თხის რძეც. ყველის მომწიფება ხორციელდება ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებულ გუდაში (გაკრეჭილი ბეწვით შიგნითა მხრიდან).

შორმა: ფართო ფუძეებით შეერთებული ორი წაკვეთილი კონუსი. ზედაპირი თანაბარი, მაგრამ არა გლუვი, ქერქის გარეშე. მასა – 4-8 კილოგრამი.

ორბანოლეპტიკა: ყველის ფერი თეთრიდან ოდნავ მოყვითალომდე, უფრო ინტენსიურად შეფერილი შუაგულში. ვერტიკალურ ჭრილში ყველს აქვს მთელ მასაში თანაბრად განაწილებული 0,3-0,5 სმ დიამეტრის ნასვრეტები. შესაძლებელია ვერტიკალზე გაჭრის დროს ყველის თვალი იცრემლებოდეს და მოწვეთავდეს ცხიმის ნალღვნები.

სუნი – სუფთა, სპეციფიკური, უცხო სუნის გარეშე.

გემო – მსუბუქად ცხარე - მომჟავო, ზომიერად მარილიანი.

შეღებნილობა:

„გუდის“ ყველის დასამზადებელი რძე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმთანობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,027	8,1	3,6	20
ცხვრის	1,034	11,5	6,2	26
ნარევი	1,030	9,5	4,2	23

ყველი „გუდა“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 50%

ცხიმთანობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 50%

მარილის შემცველობა – 4-7%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„გუდა“-ს დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

„გუდის“ ყველის დამზადებისას რძეს ჩაკვეთავენ 35-37⁰ ტემპერატურაზე, მიღებულ დელამოს დაჭრიან. მეორედ აცხელებენ 33-36⁰ ტემპერატურაზე და შემდეგ ხდება მარცვლის დაყენება, ზედმეტი შრატის მოცილება და ყველის მასის მოწურვა ნაჭრის ტომსიკებში. შემდეგ დებენ გუდაში,

ამარილებენ და აჩერებენ მოსამწიფებლად. მომწიფების პერიოდი გრძელდება მინიმუმ 60 დღის განმავლობაში.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „გუდა“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: GUDA

რუსული შრიფტით: ГУДА

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1583/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: თუშური გუდა

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ცხვრის ყველი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

„თუშური გუდა“ ცხვრის რძისგან დამზადებული ყველია, რომელიც ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებულ გუდაში მწიფდება (გაკრეჭილი ბეწვით შიგნითა მხრიდან).

ფორმა: ფართო ფუძეებით შეერთებული ორი წაკვეთილი კონუსი. ზედაპირი თანაბარი, მაგრამ არა გლუვი, ქერქის გარეშე. მასა – 4-8 კილოგრამი.

ორგანოლეპტიკა: ყველის ფერი თეთრი-მორუხოა, შუაგულში ოდნავ მოყვითალოდ შეფერილი. კონსისტენცია – ერთგვაროვანი, მკვრივი, ელასტიკური. ვერტიკალურ ჭრილში ყველს აქვს მთელ მასაში მიმოფანტული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნასვრეტები. შესაძლებელია ვერტიკალზე გაჭრის დროს ყველის თვალი იცრემლებოდეს და მოწვეთავდეს ცხიმის ნალვენთები.

სუნი – სპეციფიკური, დამახასიათებელი.

გემო – ცხარე სპეციფიკური, ზომიერად მარილიანი, პიკანტური და სასიამოვნო.

შეღებნილობა:

რძე, რომლითაც ამზადებენ „თუშურ გუდას“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ნარევი	1,034	11,5	6,2	26

ყველი „თუშური გუდა“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 48%

ცხიმინიანობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 50%

მარილის შემცველობა – 5-7%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„თუშური გუდის“ ყველის დასამზადებლად საჭირო რძეს მიიღებენ, გადამამუშავებენ და ყველს ამზადებენ თუშეთის მხარეში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

„თუშური გუდის“ ყველის დამზადებისას რძეს ჩაკვეთავენ 35-37⁰ ტემპერატურაზე, მიღებულ დელამოს დაჭრიან. მეორედ აცხელებენ 33-36⁰ ტემპერატურაზე და შემდეგ ხდება მარცვლის დაყენება, ზედმეტი შრატის მოცილება და ყველის მასის მოწურვა ნაჭრის ტომსიკებში. შემდეგ დებენ გუდაში, ამარილებენ და აჩერებენ მოსამწიფებლად. მომწიფების პერიოდი გრძელდება მინიმუმ 60 დღის განმავლობაში.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „თუშური გუდა“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: TUSHURI GUDA

რუსული შრიფტით: ТУШУРИ ГУДА

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1584/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: იმერული ყველი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყველი

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დასახელება:

„იმერული ყველი“ მზადდება ძროხის რძისაგან, რომელსაც შესაძლებელია 20%-მდე შეერიოს კამეჩის ან თხის რძე.

ფორმა:

– მომრგვალებულკიდეებიანი, დაბალი ცილინდრი. ქერქის გარეშე. სიმაღლე 3-5 სმ; დიამეტრი 14-17სმ; მასა - 0,5-1,5 კგ.; – ძელის ფორმის, სიმაღლე - 6-7 სმ; სიგრძე - 18-20 სმ; სიგანე - 8-10 სმ.

ორგანოლეპტიკა: ზედაპირი ოდნავ ხაოიანი, ყალიბის ან ტომსიკის კვალით. ფერი თეთრიდან ღია მოყვითალომდე მთელ მასაში.

ყველის მასა ერთგვაროვანია, მჭიდრო და მკვრივი, თეთრიდან ღია მოყვითალომდე. შეიძლება

ჰქონდეს სხვადასხვა ფორმის ნასვრეტები. ვერტიკალურ ჭრილზე აქვს მრგვალი, ოვალური და კუთხოვანი ნასვრეტები. თუმცა შესაძლებელია ნასვრეტების უქონლობაც. „იმერულ ყველს“ ახასიათებს სუფთა რძემჟავური სუნი და გემო. ცხვრის, კამეჩის ან თხის რძის შერევის შემთხვევაში – შესაბამისი რძის დამახასიათებელი სპეციფიკური სუნი და გემო. ზომიერად მარილიანი. კონსისტენცია – ოდნავ რბილი, ელასტიკური.

შეღებნილობა:

რძე, რომლითაც ამზადებენ „იმერულ ყველს“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა (%) არანაკლებ	ცხიმინობა (%) არანაკლებ	მჟავიანობა არაუმეტეს (°T)
ძროხის	1,027	8,1	3,6	20
ნარევი	1,030	9,3	4,2	21

ყველი „იმერული ყველი“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არა უმეტეს 52%
 ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%
 მარილის შემცველობა – 2-5%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„იმერული ყველის“ დასამზადებლად საჭირო რძის მიღება, გადამუშავება და ყველის წარმოება ხორციელდება იმერეთის რეგიონში. მიუხედავად ამისა, 2021 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია დასახელება „იმერული“ ეწოდოს საქართველოს სხვა რეგიონებში მსგავსი მეთოდით ნაწარმოებ ყველსაც. 2021 წლის 1 იანვრიდან იმერეთის რეგიონის ფარგლებს გარეთ წარმოებულ ყველს შეიძლება ეწოდოს მხოლოდ „ახალი ყველი“ ან/და „ჭყინტი ყველი“ ან რაიმე სხვა სახელი.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

იმერული ყველის დამზადების დროს რძე ჩაიკვეთება 32-34° C ტემპერატურაზე. ნადედის გაჭრისას მიიღება 10-15 მილიმეტრი სიდიდის კუბები. მარცვლის ამორევა ხდება 20-25 წუთის განმავლობაში, შემდეგ აცილებენ დაახლოებით შრატის 30%-ს და იწყებენ მეორე გაცხელებას. მეორე გაცხელების ტემპერატურაა 37-41° C, ხოლო ხანგრძლივობა – 10-15 წუთი. გაცხელების შემდეგ მარცვალს კვლავ ამოურევენ. „იმერული ყველის“ ფორმირება ხდება დასხმის წესით, თვითწნეხვა ყალიბებში მიმდინარეობს 3-4 საათი, ამის შემდეგ გადააქვთ 16%-იან მარილწყალში 8-12° ტემპერატურაზე. ერთი დღე-ღამის შემდეგ შესაძლებელია ყველის რეალიზაცია. არ არის რეკომენდებული საწარმოში მისი შენახვა 7 დღე-ღამეზე მეტ ხანს.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების ბანსაკშობის მოთხოვნები:

დასახელება „იმერული ყველის“ შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: IMERULI KVELI
 რუსული შრიფტით: ИМЕРУЛИ КВЕЛИ

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1585/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: დამბალხაჭო

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ძროხის ყველი.

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

დამბალხაჭო მზადდება ძროხის რძის დოსაგან.

ფორმა: დაბალი კონუსური ან ოვალური, თხელი კვერის ფორმა. მასა – 150-250 გ.

ორგანოლექტიკა: კონსისტენცია ნახევრად რბილი, ერთგვაროვანი, გლესვადი. სუნი და გემო – გამოხატულად სპეციფიკური, პიკანტური, მოცხარო. ფერი – რუხი მოყავისფრო, ობის მოლურჯო კვალით. შიგნით ოდნავ მოყვითალო თეთრი.

შედგენილობა :

ყველი „დამბალხაჭო“ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ტენიანობა – არაუმეტეს 50%

ცხიმოვანობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 10-15%

მარილის შემცველობა – 2-4%

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

„დამბალხაჭოსათვის“ საჭირო დოს მოგროვება და ყველის დამზადება ხდება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარე ფშავისა და თიანეთის მხარეებში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

დღეების დამთავრების შემდეგ, დოს აცხელებენ 50-60°C ტემპერატურამდე ცილების გამოყოფის მიზნით. გაცხელებული მასა მოიგდებს ხაჭოს, რომელსაც ასხამენ ქსოვილის პარკებში გასაწურად. დოს გაწურვა გრძელდება 10-12 საათი. კარგად გაწურულს გადმოიღებენ პარკიდან, გემოვნების მიხედვით უმატებენ სუფრის მარილს და კარგად გადაზელებენ. გადაზელების დამთავრების შემდეგ აკეთებენ ხაჭოს მრგვალ გუნდებს (კვერებს) დაახლოებით 150-250 გრამის წონით, გუნდას აწყობენ გასაშრობად ცხაურზე მზის სხივებისაგან დაცულ თბილ ოთახში რამდენიმე დღის განმავლობაში. შრობა გრძელდება მანამ, სანამ დოს კვერები კარგად არ გაშრება (გამკვრივდება). ამის შემდეგ გამშრალ კვერებს ათავსებენ თიხის ქოთანში, კარგად ახურავენ თავს და მოსამწიფებლად ინახავენ გრილ ადგილას. ყველის მომწიფება გრძელდება 1-2 თვე. ყველის მომწიფება წარმოებს რძემჟავა ბაქტერიებისა და პენიცილინის ობის მონაწილეობით.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

დასახელება „დამბალხაჭო“ ყველის შეფუთვაზე, ასევე მის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით: DAMBALKHACHO

რუსული შრიფტით: ДАМБАЛХАЧО

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ბანაცხადის № 1586/07

ბანაცხადის შეტანის თარიღი: 2011 09 06

გეოგრაფიული აღნიშვნა: ჩურჩხელა

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 29 – ყურძნის ან თუთის შესქელებულ ტკბილში ამოვლებული ნიგოზი, თხილი, ნუშის გულეები, გოგრის გარჩეული თესლი ან მათი ნატეხები და/ან სხვადასხვა ხილის ჩირი.

ბანაცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

მზა პროდუქტისა და ნედლეულის დახასიათება:

ქართული ტრადიციული ტკბილეული „ჩურჩხელა“ არის ყურძნის ან თუთის შესქელებულ ტკბილში ამოვლებული მაფზე ასხმული ნიგოზი, თხილი, ნუშის გულეები, გოგრის გარჩეული თესლი ან მათი ნატეხები, და/ან სხვადასხვა ხილის ჩირი.

ფორმა:

სტანდარტული „ჩურჩხელის“ სიგრძე 20-დან 35 სმ-მდეა. დიამეტრი – 1,5-4 სმ. ამასთან, გამონაკლისის სახით დასაშვებია არასტანდარტული სიგრძის „ჩურჩხელის“ წარმოება.

ობიექტის აღწერა:

შესქელებული და გამშრალი ტკბილისა და შესაბამისი ნედლეულის დამახასიათებელი სასიამოვნო, ტკბილი გემო; კონსისტენცია - რბილი, მკვრივი და ელასტიკური.

წარმოების გეოგრაფიული არეალი:

1. „ჩურჩხელის“ დასამზადებლად გამოიყენება სხვადასხვა წარმოშობის ნიგოზი, თხილი, გოგრის თესლი, ნუში ან ხილის ჩირი.
2. შესქელებული ყურძნის ტკბილის (თათარა, ფელამუში) დასამზადებლად გამოიყენებული ყურძენი მოწეულ უნდა იქნეს საქართველოს მევენახეობის შემდეგ ზონებსა და ქვეზონებში გაშენებული ვენახებიდან:

- | | |
|-----------|-------------|
| ▪ კახეთი | ▪ ლეჩხუმი |
| ▪ ქართლი | ▪ გურია |
| ▪ მესხეთი | ▪ სამეგრელო |
| ▪ იმერეთი | ▪ აფხაზეთი |
| ▪ რაჭა | ▪ აჭარა |

3. თუთის ჩურჩხელის შემთხვევაში, გამოიყენება სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მოწეული თუთის ტკბილი.

4. ჩურჩხელის დამზადება დასაშვებია წარმოშობის მევენახეობის ზონის გარეთაც, მაგრამ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

პროდუქტის დამზადების მეთოდების აღწერა:

შესქელებული ტკბილის მომზადება და ჩურჩხელის ამოვლება.

შესქელებული ტკბილის მოსამზადებლად ყურძნის და/ან თუთის ტკბილს აცხელებენ პირდაპირ ცეცხლზე წამოდუღებამდე. ამ დროს ტკბილს მოუკიდებენ ფქვილს, ურევენ და აგრძელებენ გაცხელებას სასურველი კონსისტენციის მიღებამდე.

აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთი, ქართლი, მესხეთი) მიღებული ყურძნის ტკბილის შემთხვევაში გამოიყენება პურის ფქვილი და მიღებულ შესქელებულ ტკბილს „თათარა“ ეწოდება. სამცხე-ჯავახეთშიც პურის ფქვილი გამოიყენება თუთის ტკბილის შესასქელებლად. დასავლეთ საქართველოში (რაჭა, ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა) კი გამოიყენება სიმინდის

ფქვილი და მიღებულ შესქელებულ ტკბილს „ფელამუში“ ჰქვია.

წინასწარ გამზადებულ ნიგვზის, თხილის, გოგრის, ნუშის გულებს ან მათი ნატეხების, და/ან ხილის ჩირის ასხმულას რამდენჯერმე ამოავლებენ თათარაში (კახური ან ქართლური ჩურჩხელის შემთხვევაში) ან ფელამუში (იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, გურული, მეგრული, აფხაზური ან აჭარული ჩურჩხელის შემთხვევაში) ან თუთის შესქელებულ ტკბილში და კიდებენ ჰაერზე გასაშრობად. რამდენიმე დღეში, მას შემდეგ, რაც ჩურჩხელა შეშრება, დასაშვებია მისი რეალიზაცია.

მზა პროდუქტის ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები:

1. დასახელება „ჩურჩხელა“ პროდუქტის ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე პროდუქტის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით CHURCHKHELA
რუსული შრიფტით ЧУРЧХЕЛА

2. დასახელებას „ჩურჩხელა“ შეიძლება დაემატოს მევენახეობის ზონის ან ქვეზონის ზემოთ ჩამოთვლილ დასახელებათაგან ერთ-ერთი, თუ ჩურჩხელა დამზადებულია ამ მხარეში მოწეული ყურძნის ტკბილის მინიმუმ 80 %-ის გამოყენებით.

3. დასახელებას „ჩურჩხელა“ შეიძლება დაემატოს ვაზის ჯიშის აღნიშვნა, თუ მისი წარმოებისას აღნიშნული ჯიშის ყურძენი მინიმუმ 85%-ის ოდენობითაა გამოყენებული.

წარმოების მაკონტროლებელი ორგანო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ბურჯაანი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 5/8
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **წინანდლი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 3/18
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ვაზისუბანი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 794/10
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ნაფარული**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 790/10
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **მუქუხანი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 2/18
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ქინძმარაული**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 787/17
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **კახეთი (კახური)**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 789/6
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ახაშენი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 4/15
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ყვარალი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 789/6
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ხვანჭარა**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კახეთი-კ“
რეგისტრაციის ნომერი: 1/18
ძალაშია: 2012 08 05

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ბურჯანნი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“
რეგისტრაციის ნომერი: 5/7
ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **მუკუზანი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“
რეგისტრაციის ნომერი: 2/17
ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ქინძმარაული**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“
რეგისტრაციის ნომერი: 787/16
ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ახაშენი**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“
რეგისტრაციის ნომერი: 4/14
ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ქახეთი (კახური)**
გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“
რეგისტრაციის ნომერი: 789/5
ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ნაფარული**

გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“

რეგისტრაციის ნომერი: 790/9

ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ხვანჭარა**

გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“

რეგისტრაციის ნომერი: 1/17

ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ვაზისუბანი**

გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“

რეგისტრაციის ნომერი: 794/9

ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ნინანდლი**

გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“

რეგისტრაციის ნომერი: 3/17

ძალაშია: 2012 08 06

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელება: **ყვარალი**

გამოყენების უფლების მქონე პირი: შპს „კონტო & კომპანია“

რეგისტრაციის ნომერი: 798/5

ძალაშია: 2012 08 06

